საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფშილეთი

აფშილეთი, აფსილეთი, აფშილებით დასახლებული ტერიტორია ისტ. კოლხეთში. თავდაპირველად, ფლავიუს არიანეს (II ს.) ცნობით, მოიცავდა ახლანდ. ოჩამჩირის რაიონს მდ. ღალიძგის ჩრდილოეთით მდ. კოდორამდე. წარმოადგენდა რომის ვასალურ პატარა სამთავროს. IV ს-თვის სამხრეთიდან ლაზების (ეგრების) მოწოლის შედეგად უფრო ჩრდ-ით გადაინაცვლა კოდორს გადაღმა და, როგორც ქართული წყაროებიდან (ჯუანშერი) ჩანს, ქ. ცხუმი (სოხუმი) უკვე მის მიწა-წყალზე ივარაუდება. IV – VI სს-ში ა. ლაზიკის (ეგრისის) სამეფოში შედიოდა როგორც მისი ქვეშევრდომი სამთავრო. მისი მთავარი ლაზების მეფეს ხარკს უხდიდა და ჯარითაც უნდა დახმარებოდა. VII ს. I ნახევარში ბიზანტიის ხელისუფლებამ მისი დას. ნაწილი აბაზგიასთან გააერთიანა და ა-მა დამოუკიდებელი სამთავროს სტატუსი დაკარგა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი (მდ. კოდორის სამხრეთით) ეგრისს შეერწყა. VII ს-იდან ბიზანტ. მწერლებისთვის ა. გაიგივებული იყო აბაზგიის პოლიტიკურ ცნებასთან, ხოლო VIII ს-იდან ქართულ წყაროებში – ტერმინ „აფხაზეთთან“.

წყარო: არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის *გამოც.*, თბ., 1961; პროკოპი კესარიელი, De bello gothico, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ“-„აბაზგ“ და „აბაზა – აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1991, № 2; ი ნ ა ძ ე მ., ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, იქვე, 1992, № 1 და 2; მ ი ს ი ვ ე , აფხაზეთის ძველი მოსახლეობა, «მნათობი», 1992,

№ 2; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, თბ., 1977; А н ч а б а д з е З. В., История и культура древней Абхазии, М., 1964.

ნ. ლომოური